<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1.მე-80 მუხლის მე-6 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარის მე-7 და მე-8 ნაწილები:

„7. ფიზიკური პირის, რომელიც აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობიდან იღებს შემოსავალს, აღნიშნული საქმიანობის ნაწილში, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია აზარტულ თამაშ(ებ)ზე მოთამაშეებისაგან მიღებულ ფსონებსა და მოთამაშეზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობა.

8. სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ და მომგებიან (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი წამახალისებელი გათამაშებისა) თამაშობაში მონაწილე პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის მიერ სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხა.“

2.81-ე მუხლის მე-3 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 და 3^2 ნაწილები:

„3^1.ფიზიკური პირის მიერ აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობიდან მიღებული დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 10 პროცენტით.

3^2. პირის მიერ ამ კოდექსის მე-80 მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხა იბეგრება 2 პროცენტით.“.

3.97-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**1.** რეზიდენტი საწარმოს (გარდა ამ მუხლის მე-2, მე-8, მე-9 და 9^1 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

ა) განაწილებული მოგება;

ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;

დ) ამ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.”.

ბ) მე-9 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 9^1 და 9^2 ნაწილები:

„9^1. აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში, საქმიანობის ამ ნაწილში პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მოთამაშეებისაგან მიღებულ ფსონებსა და მოთამაშეზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობა.“;

9^2. ამ მუხლის მე-9 და 9^1 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამავე ნაწილებით გათვალისწინებული საქმიანობიდან მიღებული მოგების თანხის იდენტიფიცირებისათვის ითვლება, რომ პირის მიერ დივიდენდის განაწილებისას პირველ რიგში ეს თანხა გაიცემა.“.

4. 98-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი, გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

ბ) მე-2 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 ნაწილი:

„3. პირის მიერ აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობიდან მიღებული დასაბეგრი მოგება იბეგრება 10 პროცენტით.“.

5. 135-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირისთვის (გარდა ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული პირებისა) საანგარიშო პერიოდია კალენდარული წელი.“;

ბ) მე-3 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 ნაწილი:

„4. აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირისათვის საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე.“.

6. 153-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) რეზიდენტი ფიზიკური პირი, რომლის შემოსავალიც არ იბეგრება საქართველოში გადახდის წყაროსთან (გარდა იმ პირისა, რომელიც საშემოსავლო გადასახადით იბეგრება ამ კოდექსის მე-80 მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით);“;

ბ) მე-10 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. საწარმო, ორგანიზაცია და არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულება (საწარმოები, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი–მე-3 და 9^1 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით)

ვალდებული არიან, ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინონ დეკლარაცია მოგების გადასახადის შესახებ.

გ) მე-10 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 ნაწილი:

„11. ფიზიკური პირი, რომელიც საშემოსავლო გადასახადით იბეგრება ამ კოდექსის მე-80 მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ვალდებულია, ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინონ დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ.“.

7. 154-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შენიშვნა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა:

1. ფიზიკური პირის მიერ მოგებისას, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, სამორინეს, აზარტული კლუბის, ტოტალიზატორის, სათამაშო აპარატების სალონის მომწყობი პირი აღნიშნული საქმიანობის ნაწილში ვალდებულია შეასრულოს საგადასახადო აგენტისათვის ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები;

2. ამ ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ამ ნაწილის „ე[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაზე.“

ბ)„ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე[1]“ ქვეპუნქტი:

„ე[1]. აზარტული და მომგებიანი თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მომწყობი პირი, რომელიც მოთამაშეზე სათამაშო ანგარიშიდან გასცემს თანხას.“.

8. 309-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 132-ე ნაწილი:

„132. აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირის მიერ აღნიშნული საქმიანობიდან 2022 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილება მიიჩნევა მოგების განაწილებად და იბეგრება ამ კოდექსის 97-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი *სალომე ზურაბიშვილი*